საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №43

2020 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

„მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში” ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 2013 წლის 2 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის“ პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:

„11. ამ ინსტრუქციის მე-3 და მე-4 მუხლების მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სადაზღვევო პროდუქტზე, რომელიც მოიცავს დაზღვეული რისკებისა და გამონაკლისების მცირე ჩამონათვალს, სადაზღვევო მომსახურების მიღების მარტივ და მოქნილ წესს.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლების მქონე სადაზღვევო პროდუქტის მიწოდების დაწყებამდე, მზღვეველი ვალდებულია აცნობოს სამსახურს და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულების ნიმუში (დაზღვევის სტანდარტული პირობები).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის **დავით ონოფრიშვილი**
სამსახურის უფროსი